გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე ნონიკაშვილის

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 19 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 285 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარის მოადგილე. დავესწარი ფრაქციის 6 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 59 საკითხის განხილვაში.

ასევე ვარ ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის წევრი დავესწარი 12 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 98 საკითხის განხილვაში. ასევე ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის წევრი, დავესწარი კომისიის 15 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 51 საკითხის განხილვაში.

მთელი წლის განმავლობაში სისტემატიურად ვხვდები როგორც საკრებულოში მოსულ მოქალაქეებს სხვადასვა საკითხებთან დაკავშირებით, ასევე ჩემს მაჟორიტარულ ოლქში, სადაც გამოიკვეთა მთელი რიგი პრობლემები, რომელიც სისტემატიურად მოგვარების პროცესშია:

მოგახსენებთ განვლილ პერიოდში სოფელ ხიდისთავში გაკეთებულ ინფრასტრუქტურულ პროეტებს, რომლის განხორციელებაშიც აქტიურად ვიყავი ჩართული, კერძოდ:

- გაკეთდა ,,ჯავახიაანთ“ უბნის სასაფლაოზე მისასვლელი გზის კედელი და გზა დაიგო ბეტონის საფარით.
- სოფელ ხიდისთავის ,,ჭალის უბანში“ სტადიონამდე მისასვლელ გზაზე გაკეთდა გარე განათება.
- სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში მოეწყო სკვერი და საბავშვო სივრცე.
- ,,ჩინეთის უბანში“ მოასფალტდა გზა და მიმდებარე ტერიტორია, ასევე სოფლის მხარდაჭერის პროექტით მიმდინარეობს საბავშვო სივრცის მოწყობა.
- ასევე მოეწყო გარე განათება უფლისციხის მუზეუმამდე
- ,,პლატფორმის უბანში“ ჩატარდა გზის სრული რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოები.
- ,,აზნეთის“ გზაზე, ახლად დასახლებულ ერთ-ერთ უბანში გაკეთდა გარე განათება.
- ასევე სოფელ ხიდისთავში ავარიულ შენობებზე გაკეთდა დამცავი ღობე.

აღნიშნული მოთხოვნების ნაწილი მოგვარებულ იქნა, ნაწილი აისახება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე ნონიკაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქ. გორი 2023 წლის 30 ოქტომბერი

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ბექა ლობჟანიძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ივანე ნონიკაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ხიდისთავის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის სპეციალისტი გვანცა ხაბელაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: ბექა ლობჟანიძე.

დღის წესრიგი

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ივანე ნონიკაშვილის 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ივანე ნონიკაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სხდომის თავმჯდომარემ სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ივანე ნონიკაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2022 წლის 1 ოქტომბრიდან 2023 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები,

რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ივანე ნონიკაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: ავთანდილ ნატატაშვილმა, დარეჯან ტერმაკოზაშვილმა, შორენა რამაზაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: ბექა ლობჟანიძე.

საკრებულოს წევრი : ივანე ნონიკაშვილი;